



**„სამოქალაქო საზოგადოების
გაძლიერება და მდგრადი
განვითარება“**

პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და მდგრადი განვითარება“

29-31 ივლისს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებმა პროექტის **EMWI Access** საზოგადოების გაძლიერება და მდგრადი განვითარება ფარგლებში შერჩეულ საინიციატივო ჯგუფის წევრებთან დასკვნითი საინფორმაციო შეხვედრები გამართეს. აღნიშნულის შემდგომ საინიციატივო ჯგუფების წევრები აქტიურად ჩაერთვებიან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადანიშნულ მიღების პროცესში.

პროექტი აღმოსავლეთ დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EMWI Access) ფინანსური დახმარებით მიმდინარეობს და მისი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. თემის ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების განვითარება, ორატორული უნარ-ჩვევების გამომუშავება და კამათის ხელოვნების დახვეწა. ამასთანავე, თემში სოციალური დიალოგის წარმართვა და ეთნიკური უმცირესობების აქტიური ჩართვა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადანიშნულ მიღების პროცესში. პროექტი კახეთის, აჭარის, გურიის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ხორციელდება.[\[1\]](#)

ამავე პერიოდში განხორციელდა სასწავლო ვიზიტი საქართველოს პარლამენტში, რა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დროსაც შეხვედრა წარმართა რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტთან. შეხვედრისას ყურადღება გამახვილდა კომიტეტის როლსა და მნიშვნელობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების კუთხით. საინიციატივო ჯგუფების წევრებმა კომიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარეს ინფორმაცია მათი მუნიციპალიტეტების იმ საჭიროებებზე, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისთვის გამომწვევას წარმოადგენს. ასევე, შედგა შეთანხმება სამომავლო თანამშრომლობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ **პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში თითოეულ რეგიონში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან**, სადაც მოხდა დაიდენტიფიცირება ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების, გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც საჭიროებს არასამთავრობო სექტორისგან მხარდაჭერას. საუბარი შეეხო თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით პრაქტიკაში არსებულ გამომწვევებს. შეხვედრებზე საუბარი იყო ახალგაზრდების ჩართულობის მოდელის ფორმატზეც.

აღნიშნულ შეხვედრებზე მიღწეულ იქნა შეთანხმება - პროექტის ფარგლებში შერჩეული ახალგაზრდების მონაწილეობით შექმნილი საინიციატივო ჯგუფების ჩართულობაზე. საინიციატივო ჯგუფები სასწავლო ვიზიტით ეწვევიან საქართველოს პარლამენტსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს, თავის მხრივ ადგილობრივი თვითმმართველობები კი, უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში საინიციატივო ჯგუფების მონაწილეობას და შექმნიან ორგანიზაციულ და მატერიალურ-ტექნიკურ პირობებს სხვადასხვა მიღებების, შეხვედრებისა თუ მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის კოლეგიური საჯარო დაწესებულებების სხდომებში, მონაწილეობისა და გადანაცვტილებების მიღების პროცესის საინიციატივო ჯგუფების ჩართულობას და მათ მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების მოგვარებას.

ასევე, **გურიისა და კახეთის[2] რეგიონების მცირე მენარმეებთან ჩატარდა ტრენინგები საგადასახადო სამართლის საფუძვლებზე.** ტრენინგების მიმდინარეობისას მონაწილეებმა შეისწავლეს, თუ რა არის ეკონომიკური საქმიანობა, მენარმეობის სახეები, გადასახადის სახეები და განაკვეთი, პირველადი საგადასახადო დოკუმენტის შენახვის ვადა და წესები, დეკლარირების წესები და გამონაკლისები, სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები, მაღალმთიანი რეგიონებისათვის გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

პარალელურ რეჟიმში პროექტის პრიორიტეტულ 5 რეგიონში შერჩეულ 103 მონაწილესთან ჩატარდა ტრენინგები **PIII პოპერის ფორმატის დებატებზე **III**ამაც**

საშუალება მისცა მსმენელებს გამოემუშავებინათ კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარი, საჯარო გამოსვლების ტექნიკა და დაეხვეწათ კამათის ხელოვნება. ტრენინგების საფუძველზე შეირჩა 34 მონაწილე.^[3]

13-17 ივლისს, წინამურში, შერჩეული ახალგაზრდების მონაწილეობით ჩატარდა დებატების ეროვნული ტურნირი თემებზე: ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა და ჯანდაცვა. დებატების ეროვნული ტურნირის გამარჯვებული გამოვლინდა ქვემო ქართლის მონაწილეებიდან. ტურნირის შემდგომ მონაწილეებს ჩაუტარდათ ლექცია: ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის არსსა და მნიშვნელობაზე, მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით განსაზღვრული გარანტიებზე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმებზე, საკრებულოს სხდომებზე დასწრებისა და მონაწილეობის მნიშვნელობაზე და ჩართულობის სხვა დამატებით ფორმებზე.

პროექტის მონაწილეებს სერტიფიკატებთან ერთად საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული სახელმძღვანელოები გადაეცათ.

^[1] თითოეული რეგიონიდან პროექტის მიხედვით შერჩეულ იქნა რაიონული ცენტრებიდან მოშორებით არსებული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობით დასახლებული სოფლები. კახეთის რეგიონიდან ახმეტა და პანკისის ხეობა, აჭარაიდან ხულო, გურიიდან ზოტი, ჩხაკაურა და ნასაკირალი, ქვემო ქართლიდან ავრანლო და თრიალეთი, ხოლო სამცხე ჯავახეთიდან ახალქალაქი და ნინოწმინდა.

^[2] ოზუგეთში, თელავში და ახმეტაში.

^[3] აჭარაიდან 3, გურიიდან 12, ქვემო ქართლიდან 9, სამცხე - ჯავახეთიდან 6, ხოლო კახეთიდან 4 მონაწილე.